

2013

პროექტი

„ორენოვანი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“



„სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ CCIIR; მისამართი: ე. ტატიშვილის (ყოფილი ყაზბეგის) ქუჩა 19/54 0179 თბილისი, საქართველო; ტელ/ფაქსი: (995-32) 23 32 74; ვებ- გვერდი: <http://www.cciir.ge/> E-mail: info@cciir.ge



შინაარსი

პროექტის აღწერა	3
კვლევა	6
❖ მოსწავლეთა წიგნიერება საქართველოში	7
❖ ეთნიკური უმცირესობების განათლებისა და წიგნიერების პრობლემები	8
პროექტის სამოქმედო გეგმა	10
პროექტის წარმატების ინდიკატორები.....	13
დროში გაწერა	14
პროექტის მხარდამჭერები	16
მონიტორინგი და შეფასება	18
პროექტის მდგრადობა	19
რისკების მართვა	20
დანართი	21

პროექტის აღწერა

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR) ახორციელებს პროექტს „ორენოვანი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“. პროექტი ხორციელდება USAID - ის ფინანსური მხარდაჭერით პროგრამა - „ყველა ბავშვი უნდა კითხულობდეს - უდიდესი გამოწვევა განვითარებისთვის“ ფარგლებში.

ორენოვანი წიგნიერების და ზოგადად, წიგნიერების განვითარება ეთნიკური უმცირესობებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010 წლიდან ახორციელებს ბილინგვური განათლების პროგრამებს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სადაც სკოლებში სწავლების ძირითად ენას წარმოადგენს მათი მშობლიური ენა, სახელმწიფო ენასთან ერთად.

აღნიშნული პროექტი მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბილინგვური განათლების რეფორმას.

პროექტის მიზანი და სამიზნე ჯგუფები:

სამიზნე ჯგუფები:

I ჯგუფი: 216 ეთნიკური უმცირესობების (არაქართულენოვანი) სკოლები საქართველოში.

II ჯგუფი: დაწყებითი საფეხურის უმცირესობების სკოლის 432 მასწავლებელი.

III ჯგუფი: დაწყებითი საფეხურის 30000 მოსწავლე და მათი მშობლები.

პროექტის მიზანია ორენოვანი წიგნიერების განვითარება ბილინგვური სკოლებისთვის დაწყებით საფეხურზე, რაც შემდგომში მოსწავლეებს დაეხმარებათ როგორც მშობლიურ, ისე სახელმწიფო ენაზე წარმატების მიღწევაში.

პროექტის მიზანი და ამოცანები პირდაპირ პასუხობს სამიზნე ჯგუფებისა და ბენეფიციარების რეალურ საჭიროებებს:

- ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ სკოლის საგნები ორ ენაზე (მშობლიურ და სახელმწიფო) და მიაღწიონ ბილინგვურ განათლებას დაწყებით და მომდევნო საფეხურებზე.
- მიიღონ ხარისხიანი განათლება არაქართულენოვან სკოლებში.

ამისათვის, პროექტის ფარგლებში იგეგმება შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- დონეებად დაყოფილი ორენოვანი საკითხავი ტექსტების, „კითხვის კიბის“ თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომელიც შეიქმნა და პილოტირება გაიარა საჯარო სკოლებში პროექტის „მულტილინგვური განათლების რეფორმის მხარდაჭერა სქართველოში“ ფარგლებში, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით 2011 -2012 წლებში. თარგმანი ადაპტირებული იქნება ადგილობრივ თემთან და კულტურასთან.
- კომპიუტერული პროგრამების განვითარება ორენოვანი საფეხურეობრივი ტექსტების, კერძოდ „კითხვის კიბის“ 416 ტექსტისთვის. კომპიუტერული პროგრამა დაეფუძნება კითხვის სწავლების სტრატეგიებს და გაფორმდება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით. შემუშავებული კომპიუტერული პროგრამა წარმოდგენილი იქნება, როგორც CD, ასევე ინტერნეტ ვერსიის სახით. ინტერნეტ ვერსია აიტვირთება ვებ-გვერდზე www.reading.ge, თანდართული სიტყვიერი ინსტრუქციით, მასალის გამარტივების მიზნით. ამასთანავე, პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ელექტრონული მრავალენოვანი ილუსტრირებული ლექსიკონის შემუშავება. ვებ-გვერდზე განთავსებული ყველა მასალა იქნება სამენოვანი: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული.

- მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულების და პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება. ახალი მასალების დამუშავების პროცესში ხელი შეეწყობა პროექტის ხელმძღვანელთა და ექსპერტთა მხრიდან მასწავლებლებისათვის ახალი უნარების გამომუშავებას, რაც დახმარებას გაუწევს კითხვის უნარების განვითარებას უმცირესობების მშობლიურ ენაზე და ასევე ორენოვანი წიგნიერებისთვის სწავლა/სწავლების პროცესში.

პროექტის ხანგრძლივობაა 22 თვე და მისი განხორციელების ვადები მოიცავს 2012 წლის დეკემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე პერიოდს.

პროექტის პრეზენტაცია შედგა 27 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

კვლევა

CCIR მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აფერხებს ორენოვანი წიგნიერების განვითარებას ეთნიკურ უმცირესობებში:

- დონეზად დაყოფილი ბილინგვური საკითხავი ტექსტების არ არსებობა.
- ეთნიკური უმცირესობების სკოლების მასწავლებლების არასაკმარისი კვალიფიკაცია, რომ განავითარონ ორენოვანი წიგნიერება.
- იმის გამო, რომ ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეების მშობლებმა არ იციან კარგად სახელმწიფო (ქართული) ენა, ისინი არ არიან ჩართულნი თავიანთი შვილების სწავლის/სწავლების პროცესში.
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები არ არის გამოყენებული/ათვისებული არაქართულენოვან სკოლებში.

უცხოური კვლევების შედეგები (Bekerman, 2005) ბილინგვური განათლების დადებით მხარეებს გვთავაზობენ: ა) კომპეტენცია სულ მცირე ორ ენაში. ბ) აკადემიური მიღწევების თანაბარი შესაძლებლობა. გ) კულტურათაშორისი ურთიერთობები და პოზიტიური დამოკიდებულება როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ. დ) უკეთესი შემეცნებითი და აკადემიური მიღწევები. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსწავლეებს, რომლებიც სწავლობენ და კითხულობენ ორ ენაზე, აქვთ მეტი უპირატესობა მათ მონოლინგვისტ თანატოლებთან შედარებით (Byalystok, 1997, 2001). მკვლევარები ამბობენ, რომ ბავშვები, რომლებიც ორ ენაზე კითხულობენ (ქართულ-სომხურად და ქართულ-აზერბაიჯანულად, ქართულ კონტექსტში) უფრო სწრაფად ითვისებენ იმას, რომ სიტყვები მნიშვნელობების სიმბოლოებს აღნიშნავენ (Baker, 2006). კვლევის შედეგებით, აკადემიური, ლინგვისტური და კითხვის უნარები უმცირესობების ენებში ძალიან მარტივად ტრანსფორმირდება მეორე ენაში.

საქართველოს განათლების სისტემა:

საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლის ქვეყანაა ზოგად განათლებაში თითო სტუდენტის მიერ დაახლოებით \$280 წლიური დანახარჯის მაჩვენებლით.

საქართველოში დაახლოებით 600,000 სტუდენტია და 75,000 მასწავლებელი 2,150 სკოლაში. 1-9 კლასებში მოსწავლეების 89% ფიქსირდება, მომდევნო 10-12 კლასებში კი 75.6%.

მოსწავლეთა წიგნიერება საქართველოში:

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის “მოსწავლეების საერთაშორისო შეფასების” [PISA] შედეგების თანახმად, საქართველო, 15 წლის მოსწავლეების კითხვაში, მათემატიკასა და მეცნიერებებში შედეგების მიხედვით, მონაწილე 74 ქვეყანას შორის ყველაზე დაბალი შედეგების მქონე ქვეყნებს შორისაა.

კვლევა, რომელიც მსოფლიოს განვითარებული (მაგ, აშშ., დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, იაპონია) და განვითარებადი ეკონომიკის (აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, კოლუმბია, კატარი) მქონე 75 ქვეყანაში ჩატარდა, 2000 წლიდან მოყოლებული 3 წლის ინტერვალით ტარდება და მოზარდებში კითხვის, მათემატიკისა და მეცნიერებებში უნარებს აფასებს. თავად კვლევის კოორდინატორი ორგანიზაციაც და კვლევაც მნიშვნელოვანი რეპუტაციით სარგებლობს მსოფლიოში. ბოლო კვლევაში მსოფლიოს მასშტაბით 1 377 000 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. საქართველომ ამ კვლევაში პირველად 2010 წელს მიიღო მონაწილეობა და შედეგები 16 დეკემბერს კოორდინატორი ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. (<https://mypisa.acer.edu.au/>).

საქართველოს მოსწავლეების კითხვის უნარების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება “ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის” წევრი ქვეყნების (ძირითადად, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები) საშუალოს. საქართველოს საშუალო ქულა იგივეა, რაც კატარის, პერუს და პანამის. მოსწავლეების მხოლოდ 38% აღმოაჩნდათ პროდუქტიული და ეფექტური მოღვაწეობისთვის საჭირო მინიმუმი ან მაღალი კითხვის უნარები. მოსწავლეების უდიდეს ნაწილს მინიმუმზე დაბალი მაჩვენებლები აქვს. შედარებისთვის, ესტონეთის საშუალო შედეგი 501, თურქეთში - 464, ყაზახეთისთვის 390, აზერბაიჯანში - 362, საქართველოსთვის კი - 374 ქულაა. 74 ქვეყანას შორის საქართველო 67-ე ადგილზეა.

ასევე საშუალოზე დაბალია შედეგები მათემატიკასა და მეცნიერებებში.

კვლევის მიხედვით, საქართველოს მონაცემებში გოგონების შედეგები მეცნიერებებსა და კითხვის უნარებში ბიჭების შედეგებზე მაღალია.

ეთნიკური უმცირესობების განათლების და წიგნიერების პრობლემები:

საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის 15.8 % შეადგენენ. ორი ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი - სომხები და აზერბაიჯანელები წარმოდგენილია საქართველოს კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში - ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. საქართველოში 372 ეთნიკური უმცირესობების საჯარო სკოლაა, სადაც სწავლების ენა არის არა ქართული არამედ, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, ოსური ან უკრაინული. არაქართული სკოლების რაოდენობა მთელი საქართველოს საჯარო სკოლების 11% - ზე მეტია. განათლების სისტემის პრობლემების გამო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დონე ძალიან დაბალია. ამას მოწმობს მაგალითად: ა) ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი განათლების მიღების მაჩვენებლები, ბ) 2011 წელს ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეების დაახლოებით 40-50% ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ჩაიჭრა სკოლის დამამთავრებელ გამოცდებში. გ) საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებში უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებლებია.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს რეფორმის საჭიროებას საქართველოს განათლების სისტემაში ეთნიკური უმცირესობების კუთხით. უმცირესობათა საგანმანათლებლო სისტემის პრობლემები და არსებული გამოწვევები ბევრ საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებებსა და პუბლიკაციებშია ნახსენები. მაგალითად: „საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი“ (ICG), ეუთოს - ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE HCNM), უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI), ევროპის საბჭოს მონიტორინგის ჯგუფი.

ეთნიკური უმცირესობების პრობლემები ნათლად გამოჩნდა მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამაში (PISA international assessment) 2006 წელს. სახელმწიფო ენის არცოდნა და წიგნიერება ისეთივე მნიშვნელოვანი პრობლემა აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებისთვის, როგორც მათ მშობლიური ენაზე წიგნიერების პრობლემა. 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებს აქვთ ძალიან მწირი ზოგადი წიგნიერების კომპეტენცია და ეს არ უკავშირდება

სახელმწიფო ენის არცოდნას. მათ გაცილებით უფრო დაბალი შედეგები აჩვენებს, ვიდრე ქართველმა მოსწავლეებმა.

სწორედ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით დაიწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბილინგვური განათლების რეფორმის გატარება ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომელიც განათლების სისტემის მთავარი მიზანი გახდა.

პროექტის მიზნები და ამოცანები რელევანტურია ჩატარებული კვლევების და კვლევების შედეგების, ამიტომ მას აქვს რეალური განვითარების და მიღწევის პოტენციალი.

პროექტის სამოქმედო გეგმა:

პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან. თითოეული კომპონენტი მოიცავს აქტივობებს, რომლებიც პროექტის განმავლობაში/ფარგლებში განხორციელდება.

კომპონენტი 1. დონეებად დაყოფილი ბილინგვური ტექსტების შექმნა

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა (CCIIR) განავითარა პილოტირებული და დონეებად დაყოფილი საკითხავი ტექსტები - „კითხვის კიბე“ ქართულ ენაზე, რომელიც დაფინანსდა ეუთოს - ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 2011-2012 წლებში პროექტის „მულტილინგვური განათლების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

„კითხვის კიბე“ 20 თანმიმდევრული საფეხურისგან შედგება და მთლიანობაში 416 ტექსტს მოიცავს. ტექსტები ამ საფეხურების მიხედვით არის განაწილებული.

„კითხვის კიბე“ შეიქმნა წიგნის დონეებად დაყოფის საუკეთესო გამოცდილებებზე დაყრდნობით (Pincell and Pountas, Scholastic, Rigby, Reading Recovery) და ამავე დროს აერთიანებს იმ ელემენტებს, რომლებიც სპეციფიკურია ქართული ენისთვის.

სახელმძღვანელოებმა პილოტირება გაიარეს საქართველოს საჯარო სკოლებში და მათში ცვლილებები შევა პილოტირების შედეგების გათვალისწინებით. „კითხვის კიბე“ მოიცავს როგორც მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს, ასევე სამეტყველო ტექსტებსაც.

ტექსტები არის სხვადასხვა ჟანრის: მითი, ლეგენდები, ზღაპრები და კლასიკური ლიტერატურა. „კითხვის კიბე“ მოთხრობების სერიასაც შეიცავს. სერიულ ტექსტებს ჰქვია „თაკოს, თოკოსა და პაკოს ისტორიები“, რომლებიც 216 ამბისგან შედგება. უმეტესი მათგანი დაფუძნებულია ღირებულებებზე.

პროექტი ითვალისწინებს „კითხვის კიბის“ სახელმძღვანელოების თარგმნას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თარგმანი ადაპტირებული იქნება ადგილობრივ კულტურასთან.

შედეგები:

- ქართულ-სომხური „კითხვის კიბის“ 580 დაბეჭდილი ეგზემპლარი. (5 ცალი თითოეული სომხური სკოლისთვის).
- ქართულ-აზერბაიჯანული „კითხვის კიბის“ 500 ეგზემპლარი. (5 ცალი თითოეული აზერბაიჯანული სკოლისთვის).

კომპონენტი 2. 1. კომპიუტერული პროგრამების შექმნა/განვითარება დონეებად დაყოფილი ბილინგვური ტექსტებისთვის.

შეიქმნება „კითხვის კიბის“ ონლაინ ვერსია, რაც საკითხავ მასალას უფრო მიმზიდველს გახდის მკითხველებისთვის. ტექსტი დაიყოფა როგორც დონეების/საფეხურების მიხედვით, ასევე ჟანრების მიხედვითაც. შემუშავებული კომპიუტერული პროგრამა დაეფუძნება კითხვის სწავლების სტრატეგიებს და წარმოდგენილი იქნება ორი სახით: ა) CD ვერსია; ბ) ინტერნეტ ვერსია, რომელიც აიტვირთება ვებ-გვერდზე www.reading.ge თანდართული სიტყვიერი ინსტრუქციით.

სპეციალურად მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის შეიქმნება ვიდეო ინსტრუქციები სამ ენაზე: ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ. ეს მშობლებს საშუალებას მისცემს, სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე, მონაწილეობა მიიღონ სწავლების პროცესში და დაეხმარონ თავიანთ შვილებს კითხვის უნარების განვითარებაში როგორც ქართულ, ისე მათ მშობლიურ ენებზე.

კომპიუტერული პროგრამა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით გაფორმდება. (ბავშვებისთვის ვიდეო თამაშებით, კლიპებით და ა.შ)

www.reading.ge -ს ონლაინ მკითხველებს ექნებათ „ბონუს სისტემა“ - თითოეული კითხვის საფეხურის გავლის შემდეგ ისინი გარკვეულ ბონუსს მიიღებენ.

კომპონენტი 2. 2. ელექტრონული მულტილინგვური ილუსტრირებული ლექსიკონის შექმნა/განვითარება დონეებად დაყოფილი ბილინგვური ტექსტებისთვის.

კომპიუტერულ პროგრამაში ინტეგრირებული იქნება ელექტრონული მულტილინგვური ილუსტრირებული ლექსიკონი (ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული). ლექსიკონი უკვე არსებულ ბეჭდურ ლექსიკონებსა და „კითხვის კიბის“ ტექსტებს დაეფუძნება და შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახით დაიდება ვებ-გვერდზე - www.reading.ge.

ლექსიკონი წარმოდგენილი იქნება ნეთბუკებშიც, რომლებსაც განათლების და მეცნიერების სამინისტრო გადასცემს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. ელექტრონულ ლექსიკონში შევა ყველა სიტყვა, რომელიც გამოყენებულია დონებად დაყოფილ ბილინგვურ ტექსტებში. თითოეულ სიტყვას თან ახლავს ილუსტრაცია და/ან შესაბამისი სემანტიკა.

კომპონენტი 3. მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა შეადგენს 45 საკონტაქტო საათს. ტრენინგ პროგრამა განხორციელდება 6 თვის განმავლობაში და დაახლოებით 432 უმცირესობების სკოლის მასწავლებელი მიიღებს მასში მონაწილეობას. ყველა მათგანს ექნება პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ტრენინგებს მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიების შესახებ, რომ მაგალითად, მასწავლებლებმა თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც პროექტის წარმატებას განაპირობებს

1. შემუშავებულმა დონეებად დაყოფილმა ტექსტებმა გაიარეს პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში, რის შედეგადაც გაანალიზდა და დადებითად შეფასდა სკოლების მიერ. დონეებად დაყოფილი ტექსტები კარგ საფუძველს იძლევა ბილინგვურ სწავლების რესურსების შექმნისთვის.
2. CCIIR-მა უკვე დაატრენინგა მასწავლებლები მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიებში და ისინი უკვე ფლობენ მულტილინგვური სწავლების საწყის კომპეტენციებს.
3. CCIIR 2005 წლიდან მუშაობს ეთნიკური უმცირესობების განათლების, მათი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად. მუშაობს ბილინგვური საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური რესურსებისა და ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შექმნასა და განვითარებაზე. ორგანიზაციას ჰყავს გამოცდილ პროფესიონალთა და ექსპერტთა გუნდი, რაც უზრუნველყოფს დადებითი შედეგების მიღწევას.
4. CCIIR - ის თანამშრომლობის გამოცდილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მნიშვნელოვანი ფაქტორია პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.
5. აშშ- ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დააფინანსა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (**G-PriEd**). მისი მიზანია ქართული და არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეების უნარების გაუმჯობესება კითხვასა და მათემატიკაში. ეს CCIIR -ს საშუალებას აძლევს, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, ორიენტირებული იყოს ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეების სპეციფიკურ საჭიროებებზე.

სამუშაოების დროში გაწერა

მიზანი	დროში გაწერა	ინდიკატორები	ინფორმაციის წყარო
საერთო მიზანი: ორენოვანი წიგნიერების განვითარება ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებში.	<i>1-22 თვე</i>	კითხვის უნარების გაუმჯობესება მშობლიურ და სახელმწიფო ენებზე.	საბაზისო მონაცემები და საბოლოო შეფასების ანგარიში.
1. ბეჭდვითი რესურსების არსებობა/ხელმისაწვდომობა ბილინგვური სწავლებისთვის 1-6 კლასებში, საქართველოს ეთნიკური უმცირესობების სკოლებში.	<i>12 თვე</i>	1.1. 416 დონეებად დაყოფილი ბილინგვური სახელმძღვანელოები (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). 1.2. 216 არაქართული სკოლა იყენებს ბილინგვურ სახელმძღვანელოებს სწავლების/სწავლის პროცესში. 1.3. დაახლოებით 30 000 მოსწავლე სწავლობს დონეებად დაყოფილი ბილინგვური სახელმძღვანელოთი. 1.4. მშობლების 20%-ზე მეტი ჩართულია შვილების სწავლების პროცესში.	1.1. მიმდინარე პროექტის შედეგების ანგარიში 1.2. გარე შეფასება

<p>2. ელექტრონული/ინტერნეტ რესურსების არსებობა/ხელმისაწვდომობა ბილინგვური სწავლების პროცესში.</p>	<p><i>1-18 თვე</i></p>	<p>2.1. 216 არაქართული სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული პროგრამით. 2.2. 18 000 მოსწავლე ელექტრონული რესურსებით. 2.3. 432 მასწავლებელი იყენებს ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში. 2.4. ვიზიტორებისა და მომხმარებლების რაოდენობა ვებ-გვერდზე - www.reading.ge</p>	<p>2.1. გარე შეფასება, მიმდინარე პროექტის შედეგების ანგარიში. 2.2. სასწავლო პროცესზე დაკვირვება/მონიტორინგი - ანგარიშები, ფოტო და ვიდეო მასალები. 2.3. საიტის - www.reading.ge მართვა/მონიტორინგი ; ვებ-კონტენტი</p>
<p>3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები</p>	<p><i>18-22 თვე</i></p>	<p>3.1. 432 მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა პროფესიული განვითარების პროგრამაში.</p>	<p>3.1 გარე შეფასების ანგარიში, მასწავლებელთა ტრენინგის შეფასების ანგარიში, ტრენინგების ამსახველი ფოტო მასალა.</p>

პროექტის მხარდამჭერები

პროექტის „ორენოვანი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“ განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩაერთვებიან ადგილობრივი ორგანიზაციები. პროექტის გარე შემფასებელი ტენდერის საშუალებით შეირჩევა.

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები - *სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი* უზრუნველყოფენ ლინგვისტურ მხარდაჭერას დონეებად დაყოფილი სახელმძღვანელოების თარგმნისას. კონსულტანტები პროექტის ქართველ თანამშრომლებთან შეხვედრებს გამართავენ და განიხილავენ სომხური და აზერბაიჯანული ენის ლინგვისტურ თავისებურებებს. საკონსულტაციო შეხვედრები და დისკუსიები პროექტის ყველა მნიშვნელოვან ფაზაზე სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს საგანმანათლებლო რეფორმებს სხვადასხვა მიმართულებით: სასწავლო გეგმისა და შეფასების სისტემის რეფორმა, ბილინგვური განათლების რეფორმა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების რეფორმა, ტექნოლოგიების ათვისება და გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში.

CCIIR - ის პროექტი განხორციელდება *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან* მჭიდრო თანამშრომლობით, აღნიშნული რეფორმების კონტექსტში.
კერძოდ:

ა) სასწავლო მასალები სკოლებს მიეწოდებათ სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშუალებით პროგრამის - „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში.

ბ) კომპიუტერული პროგრამა დაინსტალირდება მოსწავლეების ბუკებში, რომლებსაც განათლების სამინისტრო საქართველოს საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელს გადასცემს.

გ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა განხორციელდება სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით. პროგრამის აკრედიტაცია მოხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

პროექტი ითანამშრომლებს *აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID)*, რომელმაც დააფინანსა *საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd)* და რომელსაც ახორციელებს *Chemonics International*. მისი მიზანია ქართული და არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეების უნარების გაუმჯობესება კითხვასა და მათემატიკაში.

პროექტის აქტიური თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საგანმანათლებლო სააგენტოებთან უზრუნველყოფს პროექტის გრძელვადიანი შედეგების მიღწევასა და მდგრადობას.

მონიტორინგი და შეფასება

შეფასება მოხდება პროექტის თითოეული კომპონენტის: 1) დონეებად დაყოფილი ბილინგვური სახელმძღვანელოების 2) კომპიუტერული პროგრამების 3) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების.

პროექტის ეფექტიანობის შეფასება მოიცავს 3 დონეს:

- 1) **პროცესის შეფასება** - რა იყო დაგეგმილი და როგორ მიმდინარეობს პროექტის სტრატეგიული გეგმის განხორციელება. შეფასების ინსტრუმენტები: აქტივობის რაოდენობა, ტიპი და შინაარსი, რამდენი ადამიანი ჩაერთო მიმდინარე აქტივობებში. დამსწრეების/ვიზიტორების/მომხმარებლების დემოგრაფიული მონაცემები.
- 2) **გავლენის შეფასება** - პროგრამის მოკლევადიანი ეფექტების შეფასება: ცვლილებები ბენეფიციარების დამოკიდებულებებში, ქცევებში, უნარებსა და ცოდნაში. შეფასების ინსტრუმენტი: კითხვარი ექსპერტებისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, ტრენერებისთვის, მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისთვის.
- 3) **შედეგების შეფასება** - პროგრამის გრძელვადიანი ეფექტების შეფასება. შეფასების ინსტრუმენტი: რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მონაცემები ეთნიკურ უმცირესობებში კითხვის უნარების განვითარების ხარისხთან დაკავშირებით.

შეფასებებს სამივე დონეზე დონორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ.

პროექტის მდგრადობა

- შემუშავებული მრავალფეროვანი სასწავლო მასალები ხელმისწვდომია და შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროექტის დასრულების შემდეგაც, მოსწავლეების კითხვის უნარების გასაუმჯობესებლად. ასევე კომერციული მიზნებისთვის - დონეებად დაყოფილი სახელმძღვანელოები, კომპიუტერული პროგრამა, ვებ-გვერდი.
- სკოლების განვითარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით.
- ინსტიტუციონალური განვითარება.

რისკების მართვა

რისკ-ფაქტორი 1: უმცირესობების სკოლების მასწავლებელთა ასაკის გამო მათ მიერ ტექნოლოგიების გამოყენების უუნარობა/სირთულე სწავლების პროცესში.

პრობლემის გადაჭრის გზა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი საკითხი მასწავლებლების ერთმანეთთან თანამშრომლობაა, ისინი დაეხმარებიან ერთმანეთს სწავლების პროცესში საერთო მიზნის მისაღწევად.

რისკ-ფაქტორი 2: უმცირესობების მოსწავლეების მშობლებმა არ იციან ქართული ენა და ვერ ეხმარებიან შვილებს წიგნიერების განვითარებაში ქართულ ენაზე.

პრობლემის გადაჭრის გზა: CCIIR - ის მიერ შემუშავებული კომპიუტერული პროგრამის დახმარებით მშობლებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ თავიანთი შვილების წიგნიერების განვითარებაში ქართულ ენაზე. კერძოდ: ა) ტექსტები იქნება ორ ენაზე, ბ) შეფასების კითხვარი იქნება მშობლიურ ენაზე, გ) პროგრამაში ინტერგრირებული იქნება მულტილინგვური ლექსიკონი.



რადიო თავისუფლება

<http://www.radiotavisupleba.ge/content/orenovani-tsignierebis-ganvitareba/24809775.html>

<http://www.radiotavisupleba.ge/content/ori-ena/24810733.html>

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ CCIIR

http://cciir.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=192

ACR

<http://www.allchildrenreading.org/>

World Vision

http://www.worldvision.org/content.nsf/about/20120907_international-literacy-competition-winners-released?open&lid=reading&lpos=main

AusAID

<http://www.usaid.gov.au/HotTopics/Pages/Display.aspx?QID=799>

Videos on All Children Reading

“All Children Reading: A Grand Challenge for Development” &
“Voices of the Grand Challenge”

<http://allchildrenreading.org/videos>





თარიღი: 27.12.2012

პრესრელიზი

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ ახალ პროექტს იწყებს.

2012 წლის 27 დეკემბერს 12:00 საათზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პროექტის „ორმაგი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“ პრეზენტაცია გაიმართება. პრეზენტაციის მიზანია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების გაცნობა მოწვეული სტუმრებისთვის და მათგან სასარგებლო რჩევების და რეკომენდაციების მიღება.

მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან: რეინტეგრაციის მინისტრი და მისი მოადგილე, ომბუტსმენის ოფისი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები.

პროექტის მიზანია ორმაგი წიგნიერების განვითარება ბილინგვური სკოლებისთვის დაწყებით საფეხურზე, რაც შემდგომში მოსწავლეებს დაეხმარებათ როგორც მშობლიურ, ისე სახელმწიფო ენაზე წარმატების მიღწევაში.

„პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანები ბევრად უფრო გრძელვადიან შედეგებზეა გათვლილი, ვიდრე განხორციელების რეალური პერიოდია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შემუშავებული საკითხავი მასალები და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, არამედ ზოგადად, არაქართული სკოლების მოსწავლეებს შორის ბილინგვური განათლების განვითარებას“ - განაცხადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელმა - შალვა ტაბატაძემ.

პროექტი ხორციელდება „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ პროგრამა - „ყველა ბავშვი უნდა კითხულობდეს“ -

უდიდესი გამოწვევა განვითარებისთვის“ ფარგლებში, USAID - ის ფინანსური მხარდაჭერით.

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ სხვადასხვა პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით 2005 წლიდან ახორციელებს უამრავ საგანმანათლებლო პროექტს ეთნიკური უმცირესობების განათლების, მათი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად.

კონტაქტი: ნათია გორგაძე, პროგრამის მენეჯერი

ngorgadze@cciir.ge

მობ. ნომერი 599390495



პროექტის პრეზენტაცია
27.12.2012





ორგანიზაციის მისია:

მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რაც დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი პრინციპია.

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“
CCIIR
მისამართი: ე. ტატიშვილის (ყოფილი ყაზბეგის) ქუჩა 19/54 0179 თბილისი, საქართველო;
ტელ/ფაქსი: (995-32) 23 32 74; ვებ-გვერდი: <http://www.cciir.ge/> E-mail: info@cciir.ge

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:

- სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა.
- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად შესაბამისი პროექტების, პროგრამების მომზადება და განხორციელება;
- უმცირესობათა უფლებების დაცვა;
- ინფორმაციის გავრცელება უმცირესობების უფლებების შესახებ;
- ეთნიკური უმცირესობების ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ;
- საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ეთნიკური უმცირესობების მიმართ;
- ეთნიკურ უმცირესობათა ადამიანური რესურსების მობილიზება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვა;
- განათლების რეფორმის მხარდაჭერა და უმცირესობების უფლებების განსაზღვრა მათი მიმდინარეობისას;
- საგანმანათლებლო პროექტებისა და პროგრამების მომზადება და განხორციელება;
- ლინგვისტური ველის ფორმირების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ენის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ენის სტატუსის უზრუნველყოფი სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- ბილინგვური სწავლებისა და არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების ხელშეწყობა;
- ეროვნებათშორისო დიალოგის ხელშეწყობა;
- დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის, ინტეგრაციისა და დამკვიდრების ხელშეწყობა;
- კონფლიქტების პრევენციის და გადაწყვეტის ხელშეწყობა;
- უმცირესობათა ენების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ლტოლვილთა, დევნილთა და სხვა შეჭირვებული მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, მათი უფლებების დაცვის, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.